



პარასკევი, 2 ნოემბერი, 1901 წ.

პარასკევი, 2 ნოემბერი, 1901 წ.

გ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს :

Table with 4 columns: Day, Hour, Price, and Item. Contains subscription rates for various periods.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

პარასკევი, 2 ნოემბერი, 1901 წ.

რედაქცია ბიზნეს-საქონლის

ნიკოლოზის ქუჩა, 21

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებთა დასაბეჭდად

უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.

გამაერტ. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ

16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ივერიის

შაბათს, 3 გიორგობისთვის, დიდუბის ეკლესიაში გარდახდით იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის გიორგი დავითის ძის ქართველიშვილის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 9 1/2 საათზედ, პანაშვიდი 12 ს.

განმარტება საათთაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგთაის გამგეობის განცხადება. ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „ზარმა-ცხვების ბარდა“ სხვებსაც შეუძლიათ წვერებად ჩაწერა თუ არაო; ან კიდევ: „ქალებს“ მიიღებთ წვერად თუ არაო? პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დავაარსეთ ეს ამხანაგობა, წმინდა-პაპის მიხედვით განსაზღვრულად სპეციალად. პაი ღირს ხუთი თუხანი. მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს წლის განმავლობაში. ამხანაგობის დებო და გამგეობა ამყოფება თბილისში, მუხრანის ქუჩაზე, ალხანაშვილის სახლში.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში. აღრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товариществу Фармацевтовъ.

პირველი კერძო სამკურნალო ეპიფის ნავასარდიანისა

ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. დისტაქრო, ვენერიული (სიფილი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 9—10 საათ. სნეულეზანი: თვალისა, შინაგანი და გარეგნისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 1—1 1/2 ს. შინაგანი და გარეგნისა.

ტიფლისის კერძო სამკურნალო ევალდნოფთათვის კრაოტები (ერთი უფასო).

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. დისტაქრო, ვენერიული (სიფილი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 9—10 საათ. სნეულეზანი: თვალისა, შინაგანი და გარეგნისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 1—1 1/2 ს. შინაგანი და გარეგნისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. დისტაქრო, ვენერიული (სიფილი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 9—10 საათ. სნეულეზანი: თვალისა, შინაგანი და გარეგნისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 1—1 1/2 ს. შინაგანი და გარეგნისა.

ახალი ამბავი

ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს სხდომაზედ, 31 ოქტომბერს განიხილა თხოვნა „ნაძალადევის“ მცხოვრებლებისა იმის შესახებ, რომ იშუამდგომლონ რკინის გზის გამგეობასთან პავლოვის ქუჩის პირდაპირ გაკეთებულ იქმნას რკინის გზის ლიანდაგზე მეორე ხიდი. გამგეობამ გარდასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას ამის გამო ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობის წინაშე.

ამავე საღამოს გამგეობის სხდომაზედ ქალაქის მოურავმა წარადგინა განსახილველად ტფილისის კადეტთა კორპუსის დირექტორის შუამდგომლობა, რომ კადეტთა კორპუსის ახლის შენობის მოსათავსებლად დიდუბეში ქალაქმა საკუთარი მიწა (16 დესეტინამდე) დაუთმოს. გამგეობამ გარდასწყვიტა მინდლოს ქალაქის ინჟინერს ნათხოვრად აღიღოს დათვლიერება. ინჟინერმა ამ აღიღოს შესახებ მოხსენება უნდა წარუდგინოს შემდეგ გამგეობას განსახილველად.

ამ თვესმეტის წლის წინად ტფილისში, სიონის ტაძართან, დაარსებულ იქმნა ყოვლად-წმიდის ღვთისმშობლის ძმიბა, რომლის თავჯდომარედ აღმდგინდა სიონის დეკანოზი მ. ე. ელიაშვილი ითვლებოდა, ამა წარსულის ღვთისმშობლის 24-საქართველოს ეკლესიის ექსარხოსმა ფლაბიანემ ღვთისმშობლის ძმიბა ჩვენის სამღვდლოების საეკლესიო მუზეუმს შეუერთა და ამ ძმიბის რჩევის თავმჯდომარედ დანიშნა ყოვლად-სამღვდლო კირიონი, გორის ეპისკოპოსი.

როგორც შევიტყვით, გორის პატრის დონგაბრიელ ასლანიშვილისათვის კვლად მიუშარავთ თხოვნით მესხეთისა და ჯავახეთის ქართველ კათოლიკეებს, რომ აქ თავისუფალი საეკლესიო მამულები დაუთმონ. მთხოვნელთ სრული იმედი აქვთ, რომ პატრიარქის პატრის სურვილს გორის გათოლოკენი შეუერთდებიან და გლესთა თხოვნას შეიწყნარებენ და დააკმაყოფილებენ.

წარსულ კვირას, ღვთისმშობლის 28, ანის-ხატის ტაძრის მღვდლის მ. პ. კარბელაშვილის სადგომში მოხდა კრება საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველოს წევრთა და მრევლისა. კრებამ დაადგინა, რომ ანის-ხატის ტაძარში გაიმართოს მუდმივ ქართულ მგალობელთა გუნდი და ამისთვის მრევლმა ყოველწლივ აძლიოს შედგენისამებრ შემწეობა. აქვე კრებაში იკისრეს ყოველ წლივ შემოტანა: თ. დ. ზ. მელიქიშვილმა 100 მან., თ. გ. ნ. დიასამიძემ 30 მან., პოლკოვნიკმა გ. გ. ქართველიშვილმა 25 მან., როტმისტრმა გ. ი. ვასილევმა 15 მან., ი. ს. ალხანაშვილმა 15 მან., ი. ი. ბალუაშვილმა 10 მან., ა. გ. ქართველიშვილმა 5 მან., ა. ქ. ხუცაიძემ 5 მან.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა თავის მსახურთ შარშანდელთან შედარებით შეშას წრეულ ერთის მანეთით ნაკლებად უთმობს, მაგრამ რას იზმენ, თუ, სამაგიეროდ, ვაკზლის მახლობლად ქუჩების უფარვისობისა გამო, მეღვრეგები და მეფურგუნეები ერთი სამად და ოთხად მეტს ფასს თხოულობენ გადმოტანაში, ვიდრე წინედ. ურიგო არ იქნებოდა, ქალაქი ამ გარემოებას ყურადღების ღირსს გაჰხდიდეს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას განკარგულება მიუხდენია 25 ოქტომბრიდან საბუნის შტოს მე-5 ვერსზედ, კეშლაში, ოროი წამით უთუოდ გაჩერდნენ ხოლმე მატარებლები №№ 8, 4, 10, 14, 15, 18, 23, 25, 30, 31, 34, 35, 40, 41, 44, 45, 51, 52.

სომხურს თვიურს ჟურნალ „მურქუმი“ ხშირად იბეჭდება წერილები: „ქართულ მწერლობიდან“ ბნის ფირუმიანისა, მაგრამ ზოგიერთა საგნებს ბნი ფირუმიანი მეტად ამახინჯებს. ამ წერილების დედა ჰაზრებს მკითხველებს მალე გავაცნობთ.

სომხურს გაზ. „ნორ-დარში“ შემდეგ სწერენ: 28 ოქტომბერს, ტფილისში ილდესასწაულეს დეკანოზის გუტ აღანიანის 25 წლის სამწერლო მოღვაწეობა. დეკანოზს გუტ აღანიანს ბევრი მილოცვის წერილები მოუფიდა სპარსეთიდან, ოსმალეთიდან და სხვა კუთხებიდან. სხვათა შორის, დეკანოზმა აღანიანმა სომხურს ენაზედ დაბეჭდა „მდივანი სომხეთის ისტორიისა“ ოთხ ტომად. ორს ტომში დიდძალი ცნობებია მოთავსებული მე-XVIII საუკუნის საქართველოს შესახებ, ნამეტურ მეფე თეიმურაზისა, ერეკლე II-ისა და იმ დროის სხვა წარჩინებულთა შესახებ.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს სასტიკი განკარგულება მოუხდენია: სამგზავრო მატარებლების კონდუქტორებმა დღისით უთუოდ ყველა ვაგონებს ჩამოუარონ ხოლმე, როგორც-კი რომელსამე სადგურს მიუახლოვდებიან და შეატყობინონ მგზავრებს, რომელს სადგურზედ მივიდა მატარებელი და რამდენს ხანს დაჰყოფს. დამდამითაც ასრევე უნდა შეატყობინონ ხოლმე გადმომსვლელს მგზავრებს, მაგრამ ისე წყნარად-კი, რომ სხვები არ შეწყუხდნენ, ძილი არ დაუფრთხოთო.

გუშინ, 1 ნოემბერს, ბნმა ა. ქალანთარმა სთხოვა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამკურნეო საზოგადოების საბჭოს დანიშნოს საზოგადოების კრება, რომელზედაც უნდა გამოირჩევიან, როგორ შეებრძოლონ აკრის საშუალებით საქონლის ჰირს და როგორ მოაწყონ საკლავ-საქონლის ერთი აღგილიდგან მეორეში გადაყვანის საქმე, რომ ჰირი არ გავრცელდეს ხოლმე.

დღეს, 2 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექმნება ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულ კრებულს ქალაქის 1902 წლის შემოსავლის რაოდენობის გამოსარკვევად.

ავქალის ცხენის რკინის გზის ვაგონების მიმოსვლა პირველს ნომბრიდან ასე შეიცვალა: დღითი გამოდინ ვაგონები 6 საათზედ და მუშაობენ საღამოს 10 საათამდე.

ბელგის უსახლო ხაზოგადოების დირექტორი ბნი რიღინსკი ბელგიიდან ტფილისში უკვე ჩამოვიდა და დღეს ქალაქის გამგეობას წარუდგენს დაწერილებით პროექტს ტფილისის ელექტრონის ტრამვაის შესახებ.

მკითხველებს ესლომებათ, რომ ამას წინად ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა ავლაბარში გამართოს ორი გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალო; გამგეობას უკვე შეუშუავებია ხარჯთ-აღრიცხვა, რომ-

ბელგის უსახლო ხაზოგადოების დირექტორი ბნი რიღინსკი ბელგიიდან ტფილისში უკვე ჩამოვიდა და დღეს ქალაქის გამგეობას წარუდგენს დაწერილებით პროექტს ტფილისის ელექტრონის ტრამვაის შესახებ.

მკითხველებს ესლომებათ, რომ ამას წინად ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა ავლაბარში გამართოს ორი გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალო; გამგეობას უკვე შეუშუავებია ხარჯთ-აღრიცხვა, რომ-

ბელგის უსახლო ხაზოგადოების დირექტორი ბნი რიღინსკი ბელგიიდან ტფილისში უკვე ჩამოვიდა და დღეს ქალაქის გამგეობას წარუდგენს დაწერილებით პროექტს ტფილისის ელექტრონის ტრამვაის შესახებ.

მკითხველებს ესლომებათ, რომ ამას წინად ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა ავლაბარში გამართოს ორი გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალო; გამგეობას უკვე შეუშუავებია ხარჯთ-აღრიცხვა, რომ-

ბელგის უსახლო ხაზოგადოების დირექტორი ბნი რიღინსკი ბელგიიდან ტფილისში უკვე ჩამოვიდა და დღეს ქალაქის გამგეობას წარუდგენს დაწერილებით პროექტს ტფილისის ელექტრონის ტრამვაის შესახებ.

მკითხველებს ესლომებათ, რომ ამას წინად ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა ავლაბარში გამართოს ორი გადამდებ სენით ავადმყოფთა სამკურნალო; გამგეობას უკვე შეუშუავებია ხარჯთ-აღრიცხვა, რომ-

ბელგის უსახლო ხაზოგადოების დირექტორი ბნი რიღინსკი ბელგიიდან ტფილისში უკვე ჩამოვიდა და დღეს ქალაქის გამგეობას წარუდგენს დაწერილებით პროექტს ტფილისის ელექტრონის ტრამვაის შესახებ.

ლის თანახმად ქალაქს ამ საქმისა-
ოვის 6,000 მანეთამდე დასჯირ-
დება.

* როგორც ბაქოლან გვატყობინებენ,
29 ოქტომბერს მატარებელი № 39 სა-
ბუნის შტოს მე-4 ვერსზედ მომუშავე მუ-
შას მოტყალი ნაერუხას წამოსწევია და
მოუწყვეტია მარცხენა ფეხის თითები და
დაუშველია მარჯვენა ფეხი.

* 5 ნოემბერს ტფილისის სახანო-
თეატრში დღითა პირველ გიმნაზიის მო-
წაფეების სასარგებლოდ წარმოგუნვა და-
ნიშნული.

ჭუთაისის თეატრი.

„უჩაღები“ ტრაგ. 5 მოქმ. შილდერისა.

თუმცა ყოველ სეზონს თამაშო-
ბენ ხსენებულს ტრაგედიას, მა-
გრამ, მიუხედავად ამისა, კვი-
რას, 28 ოქტომბერს, „უჩაღ-
ლებმა“ დიდ-დალი საზოგადოება
მიიზიდა. უმთავრესს როლს—ფრანც
მოორისას, როგორც ყოველთვის,
ვლ. ალექსი-მესხიშვილი ასრუ-
ლებდა და თვისის საუცხოვო თა-
მაშით ალტაცებაში მოიყვანა მათე-
რებელი. ხშირად გვინახავს ბნი
მესხიშვილი ამ როლში, მაგრამ
ასეთი შთაბეჭდილება მას არასოდეს
არ მოუხდენია. ახლა მისი თამაში
სრულიად განსხვავებული იყო,
საზოგადოება ალტაცებით ეგებებო-
და საყვარელს მსახიობს, განუწყვე-
ტელის ტაშის ცემით და „ვაშას“
ძახილით აჯილდოვებდა. მაგრამ
დანარჩენი მოთამაშენი მხოლოდ
ხელს უშლიდნენ მესხიშვილს. მაინც-
და-მაინც არც ცდილან ანსამბლი-
სათვის ხელი შეეწყოთ. ბნი ქუჯი
(მ. ხუცი მოორი) ისე თამაშობდა,
თითქოს სცენაზედ კი არა, თავის
ოთახში იყო და თავის თავს ელა-
პარაკებოდა. თუმცა ისიც უნდა
ვთქვათ, რომ მოხუც მოორის რო-
ლი ბნი ქუჯის ამბლუა არ არის და
შეიძლება ეს იყო მისი უკუნებო
თამაშობის მიზეზი. ბნი თუთბერიძე
(კარლოსი) მეტად გულმოდგინეთ

მოჰკიდებია თავის როლს, მაგრამ...
მისი თამაშობა მაინც მოკლებული
იყო ყოველსავე ბუნებრივობას და
სიკოცხლეს. ესევე უნდა ვთქვათ
ქნ გვეთადის შესახებ, რომელმაც
ამაღიას პატარა როლიც ვერ შე-
ასრულა ზვირიანად. ჩვეულებრივ
კარგი იყო ბნი ბალანჩიძე შვეი-
ცერის როლში. დასასრულ მცირე
შენიშვნა „უჩაღების“ ასრულების
შესახებ. როგორც მახსოვს, უწინ
ჩვენი მსახიობნი „უჩაღების“ წარ-
მოდგენას მესხეთე მოკმედების პირ-
ველის სცენით ათავებდნენ, სახელ-
დობრ შვეიცერის თავის მოკვლით.
ეს ასეც უნდა, ვინაიდან ჩვენ არა
გვყავს კარლოსის როლის არა თუ
კარგი, გვარიანი მოამაშეც კი
(თუ თითონ ბნი მესხიშვილიმ არ
შეასრულა ორივე ძმის როლი),—
უკანასკნელ მოკმედებაში კი კარ-
ლოსის როლი ძალიან ძნელია.
ახლა ჩვენმა მსახიობებმა ეს შემო-
კლებაც შეამოკლეს და „უჩაღები“
ფრანცის სიკვდილით გაათავეს.
შეიძლება, მეტად მიანიათ მშვენი-
ერი სცენა—შვეიცერის სცენაზედ
შემოვარდნა და მისი რაინდული
სიკვდილი!

H. Novus.

სასოფლო მეურნეობა

ვოანძუ, ახალის ჯიშის ლობიო.

შუათანა მუშა ადამიანისათვის
საჭიროა, რომ იმ საქმელში, რომ-
ლითაც ის იკვებება, შედიოდეს
შემდეგი ნივთიერებანი: ა) ცილა—
120 გრამი, ბ) ქონი—56 გრამი და გ)
ნახშირიანი ნივთიერებანი (შაქარი,
კრახმალი და სხ. 500 გრამი. არც
ერთს რომელსავე საქმელში ყველა-
ფერი ეს ერთად მოთავსებული არ
არის, ამიტომაც ადამიანი ცდილობს
რამდენიმე თავი საქმელი გაიკეთოს
და, თუ ამისი შეძლება არა აქვს,
ის მაინც მოახერხოს, რომ რაც

შეიძლება ხშირად იცვალოს სანო-
ვაგამ.

ბევრი ფიზიოლოგის რძეს იეთრს
სისხლს უწოდებს, იმდენად უა-
ხლოდდება მისი შემადგენელი ნაწი-
ლები ჩვენის სისხლის შემადგენელ
ნაწილებს. შეიძლება გვეფიქრა,
რომ ეგების რძეს ვაგწა ჩვენთვის
ყოველ მხრივად შესარგო საზრდოს
მაგიერობა, მაგრამ, სამწუხაროდ,
მისაც არ შეუძლია ასეთი სამსახუ-
რი გავიწიოს. გარდა იმისა, რომ
ბევრს უჭირდება და ბევრიც კიდევ
სრულიად ვერ ინელებს რძეს, თვით
მისი შემადგენელი ნაწილები ვერ
არის შეზავებულის სასურველის პრო-
პორციით; მას ერთობ ბევრი წყა-
ლი და ბევრი ცილა ურევია; ქო-
ნი თუმცა საკმაო მოვლავება, მა-
გრამ ნახშირიანი ნივთიერებანი კო-
ტა აქვს. დავაუკაცებულ ადამიანი-
სათვის შეუძლებელია მარტო რძის
საზრდობა.

ამ რამდენისამე ხნის წინად აღ-
მოჩნდა ერთი საკვები მცენარე,
რომლის შემადგენელი ნაწილები
ისეა შეზავებული, რომ თითქმის
სავსებით უახლოვდება ადამიანის
მისაზრდოვებელ ნორმას, არ აკლია
არც ერთი შემადგენელი ნაწილი,
რაც საჭიროა ადამიანის საზრდო-
ბისათვის და ყველა ნაწილები ისეა
შეზავებული, რომ თითქმის სრუ-
ლიად უახლოვდება მეცნიერებისა-
გან საჭიროდ აღსაარებულ რაოდე-
ნობას.

ამას წინად მეცნიერმა ბალანმა
წარადგინა ეს მცენარე ქიმიურ ანა-
ლიზისათვის საფრანგეთის სამეცნიე-
რო აკადემიაში. აღმოჩნდა, რომ მისი
შემადგენელი ნაწილები ასეა შეზავე-
ბული: ა) ცილის ნივთიერებანი 19%
ბ) ქონი—6%, გ) ნახშირიანი ნივ-
თიერებანი 70%, დანარჩენი კი
წყალია.

გამოუანგარიშნიათ, კაცმა რომ
ორი გიგანტა ამ მცენარისაგან გა-
კეთებული საქმელი (800 გრამი)

მიირთვას, ის თავის სხეულს შეს-
დენს სწორედ იმდენს რაოდენებას
ცილისას, ქონისა და ნახშირიანის
ნივთიერებისა, რამდენიც საჭიროა
მისთვის.

ეს უცნაური მცენარე ჩვენე-
ბურ ლობიოს მსგავსი ბოსტნეულე-
ბაა. სამშობლოში, შუაგულ აფრი-
კაში, მას ეძახიან „ვოანძუს“, მე-
ცნიერები კი—„ვოანძეია სუბტერ-
რანეას.“ როგორც ლობიოსი, ისე
ამ ვოანძეიას ნაყოფი პარკშია მოქ-
ცეული, ხოლო პარკს მიწის ზე-
ვით კი არ იკეთებს, ლობიოსავით,
არამედ მიწის ქვეშ, როგორც არა-
ხისი, მიწის თხილი. ვოანძუს მოყვა-
ნას ძალიან ეტანებიან ცხელს ქვე-
ყნებში: შუაგულს აფრიკასა, სამ-
ხრეთ-აზიასა და სამხრეთ-ამერიკა-
შიაც. მოყვანით კი მოჰყავთ, მა-
გრამ სხვაგან კი არ გააქვთ გასასყი-
დად. ევროპაში ვოანძუ პირველად
ნახეს პარიზის გამოფენაზე, სადაც
მოეტანათ კონგოს სამეფოდგან (აფ-
რიკაში). ვოანძუს მარცვალი მოგ-
ძოა, თავში მოწითანო, მოშავო
წინწლებს ნარევი, ქვეშ კი მოთეთ-
რო. დაფქული მარცვალი თეთრს
ფქვილს იძლევა, გემო ცერცვისა
აქვს, თუ ნედლია, მოხარშულის
გემოს-კი ვერ გაარჩევთ წაბ-
ლისაგან, ისე საოცრად ჰგავს.
„Вестн. Иностр. Литер.“-ა,
საიდანაც ჩვენ ვაღმოგვაქვს ეს
ცნობა, ამბობს, რომ ამ მცენა-
რის მოშენება შუაგულ ევროპაში
ყოველად შეუძლებელია, მაგრამ სა-
სურველია და საჭიროც მისი მო-
ყვანა სკადან ამიერ-კავკასიასა და
თურქესტანში. ფრანგებს უკვე
მიუქცევიათ თავიანთი ყურადღება
ვოანძუსათვის და დაუპირებიათ,
მოაშენონ იგი ალჟირიაში.

მივაქცევთ ჩვენის სამეურნეო სა-
ზოგადოების და მისი ქუთათური
განყოფილების ყურადღებას ამ შე-
ნიშვნაზე.

ქვირზასი დოკუმენტები

სალ ქართვილი, ქუთათში
(ნაამბობი სპარსეთში მყოფის კათოლიკე-
თა მქადაგებლის „ლაზარის ტების“ ძმობის
პატრის ბართლომე ნებერიძის-მიერ).

მოგვხსენებთ, რომ „ქართლის
ცხოვრება“-ში ბევრს აღგვას არის
ნათქვამი: „სპარსთა შაჰნოშაჰი მო-
ვიდა, ქართლი აჰყარა და სპარსეთს
გადასახლა“, ანუ „შაჰთამაზი მო-
ვიდა და ქართველნი გადასახლა“
„შაჰთამაზი მოვიდა და ქართლიდამ
120 ათასი ქართველი გადასახლა“,
ზოგის თქმით 100 ათასი, ზოგის
თქმით მეტ-ნაკლები. ამ სამწუხარო
ცნობებს იმ დროის ევროპის მო-
გზაურთა მოძღვარნიც ასაბუთებენ,
ნამეტურ დელავალე, შარდენი და
ბევრნიც სხვანი. დელავალეს თქმით,
სპარსეთში ქართველ ყარბთაგან
შემდგარი ყოფილა ცხენოსან ლა-
შქართა გუნდი, რომელთა რიცხვიც
30 ათას კაცამდე აღიოდა თურ-
მე. ასეთი გარდასახლება ჩვენს
ქვეყანას ხშირად მოჰვლენია ხოლ-
მე...

თუმცა ეს კაცთა ბოროტებით
აღვსილნი ნადირნი თავიანთს მოს-
ვლას ქართველებზედ უწყალოდ
ხმარობდნენ და მით ჩვენს ქვეყანა-
საც აუძლურებდნენ, მაგრამ ეს იყო
მხოლოდ დროებითი, წუთიერი,
სამუდამოდ-კი აქ ფეხს ვერ იმაგრე-
ბდნენ, მალე ქურდულად მიიპარე-
ბოდნენ, თორემ ქართველთაგან ისე-
თი მუსრი გაველებოდათ, რომ ბო-
ლოს აქედგან ერთი კაციც აღარ
დაბრუნდებოდა სპარსეთში. ქარ-
თველებიც სამაგიეროს მალე უხდი-
დნენ და ხშირად ანანებდნენ ხოლ-
მე ჯავრს. ვისაც ჩვენი ისტორიუ-
ლი წიგნები უკითხავს, იმას უთუ-
ოდ ასობით და ორასობით ექმნება
ისეთი ცნობები წაკითხული, სადაც
ქართველთა გმირობა და ვაჟკაცო-
ბაა პირუთვნელად აღწერილი. ეს
რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ,

ფელეტონი

მაიტხველის ზანიზვანები.

„ჩიორაც ერთი ჩიტია,
თვალ-ტანად ბულბულს მოჰგავსო;
ზოგჯერ ყვავივით ყვანალობს,
ზოგჯერ წვერივით გოგავსო,—

ნათქვამია პატარა ჩიტუნაზე, და
ეს ანდაზა სწორეთ ზედ გამოჭრი-
ლია „ჩიორაზედაც“: ამ ჩვენ მწე-
რალს, შესაფერი, არც ნიჭი აკლია
და არც ცოდნა!.. მაგრამ ცოტა...
გულის გადაყოლა-კი იცის ხოლ-
მე!.. აბა, რა იყო, რომ „მოგ-
ზაურს“ წინ გადაეღობა შარა-გზა-
ზე და ერთი ვაი-უშველებელი აუ-
ტება? ლასურდიეს ეძგერა, გობე-
ჩიას ყელში წაუჭირა ხელი და
რედაქტორსაც უმითრახულა.

ამას დაბრწყვება ჰქვია, თვარა,
თუ გულს ერჯის, რატომ სხვებს
ვერ მიჰბედავს? სხვა რედაქტორ-
გამომცემლები მათის შინაურ პოე-
ტებით რითა სჯობიან იმ მრავალ-
ძარღვა რედაქტორსა და მის დან-
დურა თანამშრომლებს? მე და ჩემ-
მა ღმერთმა, ჩემი კალამი რომ ნა-
ღველ-ძმარში არ იყოს ამონაწები

და „ჩიორასავით“ ბენიას*) გამოქ-
რილი კალამი მეჭიროს ხელში, არც
ერთს არ დავზოგავდი და მკით-
ხველსაც ვავაცივებდი...

ღმერთო ჩემო, რას არ სწერენ
და რას არ ბეჭდვენ?! და მერე ვის-
თვისა და რისთვის? მეთაურ წე-
რილებს, მართალია, პატრიოტულ
სარჩულად გამოკანებს უდებენ:
„გამოკანას მოგახსენებთ, დიდი
არაფერიაო: ზოგან წითელ, ზოგან
ყვითელ, ზოგან ალისფერიაო“,—
ვითომდა ხალიჩააო. მაგრამ, თქვე-
ნი რისხვა არა მქონდეს, დაგ-
ლეჯილი ქილობიც არ გამოდი-
ოდეს. უსინჯავთ ზედა-პირსაც,
აკვირდებით და რა დასკვნა გა-
მოგყავსთ? — მის მეტი არაფე-
რი, რომ სადღაც ვილიას რაღაც
ჩაუდენია, და სად ხარ მამაცი, რომ
მიეშველიო?! თავს არ იზოგავ, მა-
გრამ, რომ კიდევ მოინდომო მდევ-
რობა, არ იცი საით გაუტოო, ვის
გამოუდგე და რისთვის?

გადაღიხარ „ახალ ამბებზე“. კით-
ხულობ და აი რაებს ტყობულობ:

1) „ჩვენ შევიტყუეთ, რომ გვი-
ტია ყვანალოშვილი მამასახლისად
აურჩევიათ. ეს ცნობილი მოღვაწე
ჯერ კიდევ არ არის სამოციის წლისა.
დღემდის არავითარ საზოგადო საქ-

მეში არ გარეულა და მით ღირ-
სეულადაც აქვს მოსაზობილი მშვი-
დობიან და უწყინარ კაცის სახე-
ლი. ეკალსა და ვარდს ერთნაირის
სიამოვნებით შეპღიძის, როგორც
ანგელოსი. საქვეყნო და საერო
არც ავი და არც კარგი არად მიაჩ-
ნია, არ უკვირს და გულ-გრილად
აუვლის ხოლმე გვერდს ფალოსო-
ფიისათვის ეს შესანიშნავი მოღვაწე.

ესეები ყველა გვაიმედებს, რომ
ეს დიდსულოვანი მამულისშვილი
ღირსეულად უწინამძღვრებს ხალხს
და კეთილადაც დაავიგვინებს
ქვეყნის სურვილს!..“ მკითხველები,
რადგანაც სახარებასავითა სჯერათ
ბეჭდვითი სიტყვა, სიხარულით გაი-
ძახიან: „ვაშა-ვაშა, გაუმარჯოს სა-
ქართველოსო!“

2) „გუშინ რომ საუფლო დღე-
სასწაული იყო, ფერისცვალება,
სობოროში წირვა იყო, მღვდელმა
სახარება წაკითხა, დიკონმა—სა-
მოციქულო, პეჩებმა იგალობეს
და ხალხიც პირჯვარს იწერდა“—ო.

3) „ნამდვილად შევიტყუეთ, რომ
პუპობრიუხოვი, ზემსკი სტრატის
ურიადნიკი, გორიდან ამ დღებში
ცხინვალისაკენ აპირებს განგზავრე-
ბას.“

4) „თელავის პოპ-მეისტერი სამ-
სახურის გამო სიღნაღში გაიფლის,

აქ ფოჩტალიონებს ინახულებს და
მერე ტფილისში ჩამოვაო.“

5) „რეესიორ-რედაქტორად ნამ-
ყოფი, ცნობილი ნებიერიძე, დუ-
შეთში საქათმეს აშენებსო და იმე-
ლია კვერცხები გაიფდებო!“

6) „სომხის ახალგაზდა მეცნიერს
ინჰარაციანცს შესანიშნავი თხზუ-
ლება გამოუცია საზღვარს გარეთ
ფრანგულ ენაზე: „გამოსვლა ებ-
რელთა ეგვიპტით. მოგზაურობა
უდაბნოში და მერე ალექსანდრის ქვეყ-
ნის მოპოვება.“ ამ თხზულებას
თურმე დიდი შთაბეჭდილება მოუხ-
დენია საზოგადოდ. ახალ წყაროე-
ბით დაუმტკიცებია, რასაკვირვე-
ლია, პროფესორ მარისს შემწეო-
ბით, რომ ქუთაისი, კულაში, ხო-
ნი, ონი, საჩხერე, სუჯუნა და სხვა-
ნი, სადაც დღესაც კიდევ კანტი-
კუნტად სცხოვრებენ ურიები, სულ
იერუსალიმის მარტები თურმე ყო-
ფილანო“ და სხვანი...

ეს სულ მოსალოცვი, სასიხარუ-
ლო ამბებია, რედაქციის აზრით.
ახლა სამწუხაროც შევიტყუეთ, იმა-
ვე „ახალ ამბებში“:

7) „რედაქციამ მიიღო პატარა
წიგნაკი, მოუსვენარიძისაგან შე-
დგენილი და გამოცემული. წიგნი
სუფთად არის დაბეჭდილი, მაგრამ
მის დედა-აზრს ვერ ეთანხმება ჩვენი
რედაქცია; ავტორი მეტად აქვს

და ეტრფის ჩვენი წინაპრების გა-
დასულს დროს. ავიწყდება, რომ
გუშინ ბატონ-ყმობა სუფევდა, მე-
ფეები იყვნენ და არა ხალხის არ-
ჩეული პრეზიდენტები. ხალხიც მა-
შინ ორ დასად იყოფოდა: მეომრე-
ბად და მუშებად და მესამე დასი
არ ყოფილა. ეს ახირებული მწე-
ლი იმდენად ჩამორჩენია დროს, რომ
ძველ დროს იგანებს და იგლოვს
მამა-პაპურ ტაძრებისა და ციხე-დარ-
ბაზის აოხრება-დაქცევას და გულსაც
სწყდება, რომ ძველი ოხრული სხვა-
და-სხვა ქართული ზნე-ჩვეულებანი
დღეს გადავარდნის გზას ადგინა!..
ჩვენ გამოჩენილ მხატვარს ტაკი-
მასხაროვს დავახატვინეთ კარიკატუ-
რა და ამ დღებში დაგვბეჭდეთ...
თავ-ქუდ მოგლეჯილი ავტორი
თმებს იგლეჯს და ცრემლებს ჰდვ-
რის, მაგრამ ის-კი ვეღარ მოგახერ-
ხეთ ნათლად დავგესახა: რას მოს-
თქვამს და ვის სტირის, ძველ
მკვდრებს, თუ ჩვენ დღევანდელ
ცოცხლებს? იმედია, მკითხველი
თვითონ მიხვდება.“

8) „მარიობას იტრიაში იტრიალა-
დიდმა უბედურობამ: ერთი გლეხი
და ერთი აზნაური სიმთვრალით
წალაპარაკდენ. გლეხმა კეტი მო-
უღერა, აზნაურმა ხანჯალზე მი-
იგლო ხელი და მათ რომ ერთმანეთს
გაემეტებიათ, ერთმანეთს მოჰკლა“

*) ბენია—გამოჩენილი ხუმარა.

წმინდა, ქართველიც ისევე შე-
ცირდებოდა და მოისპობოდა, რო-
გორც ეს სხვა ქრისტიან ერებს
წინათ მუსლიმთაგან.

სპარსელ ქართველთა შესახებ სა-
მარისი საბუთები გავაყენე. ანტონ
ფურცელაძემ თავის ისტორიულს
ამოკვლევაში „ბრძოლა საქართვე-
ლოს მოსპობაზედ“ და ვ. აღნია-
შვილმა თავის ვრცელს მოგზაუ-
რობაში, რომელიც ამ აზრით წა-
იდა განგებ სპარსეთში და ქარ-
ველთა შესახებ ბევრი რამ ცნო-
ვები შეკრიბა და ანუსხა. თუმცა
სპარსელ ქართველთა შესახებ ცნო-
ვები გვაქვს აქა-იქ ისტორიულს წი-
ნებშია და ამ უკანასკნელს დრო-
ს აღმოჩნდა ზოგი რამ მასალა,
მანც ეს საქმე ჯერ კიდევ ისე არ
არის გამოკვლეული, როგორც სა-
ირობა და გვენატრება. აი, ესლაც
მოგვყავს შემდეგი ცნობები, რომ-
ლებიც გადმოგვცა პატივცემულმა
ქართველ კათოლიკეთა მოძღვარმა
ქადაგებელმა ლაზარისტმა ბართ-
ლომე ნებიერიძემ.

ურიგო არ იქნება, აქ რამდენი-
ც სიტყვა თვით ამ ლაზარისტ ბა-
რთლომე ნებიერიძეზედაც ვსთქვათ.
ბართლომე ნებიერიძე ქართველი კა-
თოლიკეა, ახალციხელი, რომში
აბრძლილი. იქაურ კათოლიკეთა სა-
ულიერო სასწავლებელში უსწავ-
ლია, შემდეგ პატრათ კურთხეულა
და „ლაზარისტების“ ძმობის წევ-
რად შესულა. შემდეგ კურთხევი-
ა პატრი „ლაზარისტის“ ძმობას
სპარსეთის მქადაგებლად დაუნიშ-
ნეს და ესაც მალე გამგზავრებულა
სპარსეთში.

სპარსეთში პატრი დაიარება აქ-
ვე შორეულს კუთხეებში, სადაც
ქრისტიანი ქალდეველნი და სხვა
ომის ერნი სცხოვრობენ. კარგა
ანია, რაც ეს მქადაგებელი პატრი
ქ იმყოფება. 1900 წ. საქართვე-
ლოში ჩამოვიდა. გამაცნო იგი
გონ-გაბრიელ ასლიანიშვილმა. გა-

ცნობის უმაღლეს ამ პატრმა სიტ-
ყვა ქართველობაზედ ჩამოგადო,
შემდეგ სპარსელ ქართველებზედ
დაიწყო საუბარი და შემდეგი მიამ-
ბო:

სპარსეთში, ზოგიერთ ალაგას,
ქრისტიანებმა და თათრებმაც კარ-
გად შეიტყეს, რომ მე ქართველი
ვარ. ერთს ალაგას ორმა თათარმა
რადაც დახვეული ძველი პერგამენ-
ტები მომიტანა და მომცა:

—ჩვენ შევიტყეთ, რომ თქვენ ქარ-
თველი ბრძანდებით. აი, ეს ტყავის
ქალაღებო მოვიტანეთ თქვენთან,
რომ ეგები გაშინჯოთ, შიგ თქვე-
ნებურად ლოცვები სწერია; გვინდა
შევიტყოთ, რა ლოცვებია, რად-
განაც იგი ჩვენი ძველების გა-
კეთებულა და ჩვენ-კი არ ვიცით,
თუ შიგ რა სწერია, რა ლოცვებია,
ჩვენები ამას გულზედ ატარებდენ-
ო.

მეც გადავშალე ეს დახვეული
პერგამენტის ფურცლები და ძველად
რომ „ავგაროზთ“ ჰქონიათ მიჩნეუ-
ლი, შიგ ქართულად მხედრულის
ხელით ნაწერები აღმოჩნდა. მე
მართლაც ლოცვები მეგონა, რო-
გორც საზოგადოდ იცოდნენ ხოლმე
„ავგაროზებში“ ჩაწერა; დავიწყე
კითხვა და ლოცვების მაგივრად
სულ სხვა აღმოჩნდა. და აი, ამის
შესახებ პატივცემულმა პატრმა სი-
ტყვიერად რა გადმომცა:

ერთის ქართველ ოჯახისათვის გა-
თათრება დაუბრებიათ, მაგრამ ოჯა-
ხის უფროსს არ უქნია, არ გათა-
თრებულა და მთელი სახლობის-
თვისაც იგივე დაუვალბია, რომ
არც ისინი გათათრებულნი იყვნენ და
ქართველობაზედ მაგრა მღვარევი-
ნენ. მაშინ სპარსეთში, მოგვხსენე-
ბათ, დიდ-ძალი ქართველობა სცხო-
ვრობდა, რომელნიც ძალად იქმნენ
გათათრებულნი. ჩამდენისამე ხნის
შემდეგ ზემოდ-ხსენებულ ოჯახის
უფროსი წვერი სპარსეთის შაჰის
ბრძანებით დაუჭერიათ და დაუბა-

ტიმრებიათ; ციხეში მისთვის სა-
ტანჯველიც მიუყენებიათ, და-
ლას თურმე ატანდნენ—გათათრ-
დით. ეს ამბავი მისს შვილებსა და
სხვა ქართველებს შეუტყვიათ. შვი-
ლებს განუზახავთ, მამის ნახვა,
გამხევება სდომებიათ, მაგრამ სა-
პატიმროში არ მიუშვიათ, არ უშვე-
ნებიათ, ამავე მოხუც ქართველთან
სხვა ქართველებიც ყოფილან დაპა-
ტიმრებულნი. ესენიც დიდს ტან-
ჯვაში ყოფილან ჩაკვირულნი.

უკანასკნელთ, რაკი ველარა გა-
უწყვიათ-რა, აი რა საშუალება მო-
უგონიათ: გაუკეთებიათ ეს „ავგარო-
ზი“ და ციხეში მიუტანიათ, ციხის
მკვლისათვის უთხოვნიათ, რომ ეს
„ავგაროზი“ ამა-და-ამ მოხუცს გარ-
დაცოთ, რადგანაც მის საკურთრე-
ბას შეადგენს, გულზედ უნდა ატა-
როსო. ციხის მკვლელთაც შეუტა-
ნიათ ციხეში და აღნიშნული მო-
ხუცისათვის გადუციათ. მასაც გა-
უშლია ეს „ავგაროზი“, შიგ ნაწე-
რი ამოუკითხავს და შემდეგ ესევე
„ავგაროზი“ უკან დაუბრუნებია,
თუ გულზედ დაუკიდნია, ამისი
არაფერი სჩანს; მხოლოდ შემდეგ
ერთი ასეთი „ავგაროზი“ ამ მო-
ხუცსაც დაუბრუნებია თავისს შვი-
ლებისათვის. ერთ ავგაროზში, რო-
მელიც შვილებს გაუგზავნიათ მა-
მისათვის, წერებულა შემდეგი:

„მამო, შევიტყეთ, რომ შენ
თურმე მანდ ციხეში დიდადა გტან-
ჯავენ. ძალიან ვსწუხვართ ამასა და
სასტიკად ვიტანჯებით, რომ ჩვენის
სჯულის გულისათვის მოხუცებულს
მამას მანდ გვიტანჯავენ. მაგრამ
იმედი გვაქვს, ღვითთ, რომ შენ
ყველა ამ ტანჯვას მხნედ აიტან და
ციხიდანაც მოესწრები განთავისუ-
ფლებას. იმედია, ჩვენს მტერს ღმერ-
თი სამაგიეროს გარდაახდევინებს,
შენ იყავ ოლონდ მაგრა და მტერს
ნუ შეუშინდები, ნუ გატყდები.“

მეორე „ავგაროზში“ სწერია შემ-
დეგი:

„შვილებო, შევიტყე, რომ
თქვენ თურმე თქვენის მოხუცებულ
მამის პატიმრობისა და ტანჯვის გა-
მო სასტიკად იტანჯებით; რა გაე-
წყობა. მე მაგრა ვარ, არა მიშავს-
რა, თქვენ იყავით ოლონდ კარგა-
თა და ჩემთვის ნუ სწუხართ. იმე-
დი მაქვს, ღმერთი ჩვენს მტერს არ
შეარჩენს, მალე მოჰკითხავს სამა-
გიეროს, მეც მეშველება გამოსვლია.
თქვენ ჩემზედ ნუ სწუხართ, ნუ
დარდობთ. თქვენს მოხუცს მამას
ვერც გათათრებენ და ვერც გას-
ტენენ, ოლონდ თქვენც ასე მაგრა
იდევით სჯულზედ და მტერმა არ
დაგძლიოთ.“

აქ მოყვანილ ცნობებს გარდა
სხვა-და-სხვა ცნობებსაც ატყობინე-
ბენ ერთმანერთს, მაგალითებრ: შვი-
ლები მამას იმ დროის სპარსთა მთა-
ვრობის გარემოების ცნობებს ატყო-
ბინებენ, მთავრობის წინააღმ-
დეგ ხალხი როგორ ჩოჩქოლშია და
მით ამათაც ეძლევათ შაჰაბაზის
დაცემის იმედები. ასევე მამა ატყო-
ბინებს შვილებს საპატიმროს ზოგი-
ერთს ცნობებს. ორივე „ავგარო-
ზი“ ერთის ზომისანი არიან, სხვა-
და-სხვა ხელით ნაწერი, ქართულის
კარგის მხედრულის ასოებით. ნა-
წერიდამა სჩანს, რომ მისნი
დამწერნი მწიგნობარნი უნდა ყო-
ფილიყვნენ. ასე და ამ გვარად, ასე-
თის ოსტატობითა და „ავგაროზე-
ბით“ უცნობებით ერთმანეთისა-
თვის სხვა-და-სხვა ცნობები. ეს ოს-
ტატუ-ი საქციელია და სპარსნი
ასეთ „ავგაროზების“ გაგზავნ-გამო-
გზავნით ვერაფერს ექვს აიღებდნენ,
ყოველთვის საღმრთო ხასიათს მის-
ცემდნენ, რადგანაც ეს მათშია
ძრეულ იყო გავრცელებული და
თითქმის ყველა სპარსს ჰქონდა გულ-
ზედ „ავგაროზი“ ჩამოკიდებული.
ასეთი „ავგაროზები“, მითხრეს მომ-
ტანთ, ჩვენში ბევრს ალაგს არი-
სო, ბევრს ოჯახებში აქვთ დაშ-
თენილიო. ყველგან იმასა ფიქრო-

ბენ, რომ მისში ლოცვები სწერიათ
აქედან კარგადა სჩანს, რომ
ნებულ კუთხის მცხოვრებთა შო-
რის ქართველთა შთამომავალნიც
მრავლად უნდა იყვნენ, და-
ლით გათათრებულნი და ქართვე-
ლობისათვის დაკარგულნიო. მქადა-
გებელმა აი, კიდევ რა დაუმატა:

—არ შემიძლიან გარდმოგცეთ
ის მწუხარება, რაც კი ამ „ავგა-
როზების“ კითხვის დროს ვიგრძენი.
ტირილი მომივიდა, ბევრი რამ გა-
მასხენდა ჩვენის ტომის უბედურ
ისტორიიდან. მაყურებელ სპარსი
ძრეულ უვიკრდათ ჩემი ამ გვარი
გარემოება, მაგრამ ამა რას მიჰხვედ-
ბოდნენ!

პატრს ბართლომე ნებიერიძეს
დიდის მუდარებით დაევალიე, რომ
აღნიშნული „ავგაროზები“ ეგების
იშოვნოს ფასითა და გამოავიგზავ-
ნოს, ხოლო თუ შეძენა ვერ შეი-
ძლოს, მაშინ გადმოგვიწეროს. მანც
პატრმა სრული თანხმობა აღი-
არა: სრული იმედი გვაქვს, პა-
ტივცემული პატრი ბართლომე ნე-
ბერიძე დაპირებას ასრულებს და
მალე თუ არა, ოდესმე მანც გა-
მოავიგზავნის ამ ძვირფასს ცნო-
ბებს. სრული მოვიმედვნი ვართ,
რომ იგი სპარსეთში ყოფნის დროს
შესამჩნევს მამულის შვილობას გა-
მოიჩინს და, ხსენებულს ცნობებს
გარდა, სხვა რამ ცნობებსაც შეკ-
რებს. ცნობებს ძებნა უნდა, თო-
რემ იქ უთუოდ აღმოჩნდებოდა,
რადგანაც ისტორიიდან ვიცით,
რომ სპარსეთში დიდ-ძალი ქართვე-
ლობა სცხოვრობდა, მათ იქ დიდი
ტანჯვა გამოიარეს, ბევრიც საგმი-
რო საქმე ჩაიდინეს. ბევრი ცნობები
უნდა დარჩენილ იყოს თუ წერილო-
ბით, თუ ქართული წიგნებითა, სხვა-
და-სხვა ნივთებითა და ზებირ გარდ-
მოცემითაც. ამას მხოლოდ სპარ-
სულ-თათრულის ენების მკოდნე
კაცისაგან მოძებნა და შრომა უნდა.
ზ. შ.

დენ. დრო არის, რომ ამისთანა
მოვლენებს მიაქციონ ყურადღება
და გლახებს კეტების გამოკრა
ეკრძალოს და თავდა-ზნაურობას
შალ-ხანჯლის ტარება.“

9) „ახალგაზდა რუსის მწერალი
აქსიმ გორკი ავთ გამხდარა და
წვეიცარიაში გაუგზავნიათ. მესამე
ასელია.“

10) „ჩვენ დაუღალავ მშრომელ-
ოღვაწეს და საკვირველ არტისტ
ენის რუსული ოპერეტი გამო-
წერია და მალე დაიწყობა წარ-
ოდგენა ბანკის თეატრში. იმედია,
ქართველები ბლომათ დაესწრებიან
ოღმე“ და სხვანი.

კმარა. ახლა გადავიდეთ კორეს-
ანდენციებზე:

1) „ქალატყიდან (შორაპ.
ბ.). აქ ქალაც არის და ტყეც.
ტყეში ხეებია და ქალას მდინარე
უღის, ჩოლაამური, რომელსაც დრმა
ბრი აქვს და შიგ თევზები ცურა-
ვენ. ნაპირი თხელი აქვს და იქვე
ტყეები წამოსკულებიან ხოლმე და
უყინობენ, „ვიყიყიყო.“ ახალ-
ზდა მღვდელი დაგვიჩინეს, სე-
ნარია გათავებული.

2) „გოლოგანი (ქუთ. მახ.)
აი აზნაურიშვილი ვარ, თუ ერ-
თ ვინმეა ჩვენში, მეც ვიყავი,
მაგრამ დღეს კი აღარა მახადარა
დავდივარ ყბედად ყბა ამოგდე-

ბული. რა მომივიდა? რა და..
ღმერთმა ნუ იცის ჩვენი წინაპრე-
ბის თავი და ტანი,—იმათ რომ ჩვეუ-
ლება დაგვიგდეს, სულ იმის ბრა-
ლია!.. სოფელში კარგიც ბევრია
და ცუდიც. კარგის მიბაძვა და
აუღალა ძნელია და ცუდის კი
უფრო მოხერხებულია. დედ-მამა
დავასაფლავე, ლხინი გადავიხადე
და ადგილ-მამულს ჩამოვაკელი,
გავყიდე.. ცოლი რომ მოვიყვანე,
მაშინაც მამულს ვეძგერე; შვილი
რომ მოენათლე, მაშინაც.. ჰირში
და ლხინში სულ მამა-პაპისაგან
დატოვებული ქონებისაქნ მეჭირა
თვალე—წვრილ-წვრილად გამომე-
ლია. და ნუთუ ეს საბუთად არა
კმარა, რომ ძველი ყოლიფერი
უნდა გადავადოთ გულიდან და
დავივიწყოთ? გუშინ ეს ამბავი
ერთს ახირებულ ვისმე შევსივლე
და სიცილი დამაყარა; ეგ სისუ-
ღელე თუ მართლა ძველია, რა-
ტომ იმ შენმა მამა-პაპებმა არ გა-
აქრეს რაც ებადათ და შენამდი
მოახწვიენსო? მამა-პაპებს რას აბრა-
ლებ? ეგ ბედოვლაობა დღევან-
დელ უფურთა წამხედურობის
ბრალია და ხომ გაგიგონია; „წამ-
ხედურობამ წაიხედაო და ძალის
გვამში შეახედაო.“ მევე მამტყუ-
ნებდა. მოდი და ელაპარაკე ამის-
თანა უგნურს!

ამაების კითხვაც რომ მოგწყინ-
დებო, გადაღიხარ ახლა რედაქცი-
ისადმი მონაწერ წერილებზე:

1) „პატრონო რედაქტორო! გთხოვთ
გადამარჩინოთ დიდს უსიამოვნებას
და გამოაცხადოთ, რომ გორიდან
გამოგზავნილ და კვირის ნომერში
დასტამბულ კორესპონდენციის ავ-
ტორი მე არ გახლავარ.“

უტიფარა ხრიკაძე.

რედაქციის შენიშვნა: ვა-
მოწყობთ და ვამტკიცებთ, რომ იმ
სტატიის დამწერი და გამომგზავნი
სულ სხვა ვინმეა და არა ხრიკაძე.
რედ.“

ვინ არის ეს საბრალო ხრიკაძე,
საფრხეში რომ სხვის ბრალობით
ჩავარდნილა?—ერთი ვინმე გაიძვირა,
სოფლის ტურა-მელა, რომელიც
ვერც არას დასწერს და არც არა
დაუწერია-რა, მაგრამ სოფელს-კი
ატყუებს: დიდი დამოკიდებულება
მაქვს რედაქტორებთან, რაც ჩვენ
გაზეთებში უსახელო სტატიები იბე-
ქდება, ნახევარი სულ ჩემიაო. და
ამითი თავს იჩენს. ხან-და-ხან მიჰმა-
რთავს ხოლმე რედაქციებს ზემო-
მოყვანილ წერილით და მოწმობას
რომ ხელში იგდებს, თავს მართ-
ლულობს სოფლის წინ: მე არა ვარ
დამწერიო! სოფელიც ჰფიქრობს,
სჩანს ეს მართლა არ დაუწერია,

მაგრამ სხვებს კი უნდა სწერდესო,
და მოკრძალით ეპყრობიან. ხრი-
კაძესაც მეტი არა უნდა-რა.

2) პატრონო რედაქტორო! გთხოვთ
გამოუცხადოთ მადლობა როგორც
ჩემის მხრით, ისე საზოგადოების
მხრითაც ცნობილ ქველმოქმედს
სილომონ გლეჯიას, რომელმაც
შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს
სკოლას აბაზი ფულად და ცალ-
ნახევარი ახპატელოვის გამოცემუ-
ლი ანბანი.

ურუეთის სოფლის მასწავლებელი პიკა.

ვინ არის ეს კაცი, რომ მართა
სახელს აწერს, გვარსაც აღარ კა-
დრულობს და ქვეყნის მაგივრადაც
კი მანიფესტებსა სცემს? ერთი ვილაც
ამორდისებური აზრუკაძე... ქვეყ-
ნის წინ... მწვანე კიტრით თავს
იწონებს: „გაიგეთ, მეცა ვარ ქვეყანა-
ზეო!“

და ის ქველ-მოქმედი ვინა
ბრძანდება, აბაზს რომ იმეტებს და
ზედაც ცალ-ნახევარ ახპატელოვის
წიგნსაც სწირავს სკოლას? ვინ-ტ
ქვეყნის გამომხვრელი აბლაკატი.
იმ თავის აბაზსა და ანბანს ძვირად
ჰყიდის, უცნაურს სარგებელს იგებს,
გაზეთს წარუდგენს სოფელს და
ეუბნება: „აი, რომ ხედავთ, ვინა ვარ
მე და რა შემიძლიაო.“ აი რა ქება-
დიდებას მიწერენო! ენა ჩაწყვიტეთ,

ჩემი წინააღმდეგობა არ გაბედოთ,
თქვე ბეჩავებო, თვარა აღარ და-
გზოვავთო!“ სოფელიც, ბეჭდითი
სიტყვის დამჯერე, კრიკას იკრავს
შიშით.

რედაქტორ-გამომცემლებმა რა-
ციან თავის კაბინეტში, თუ გარეთ,
სოფლებად, როგორა სარგებლობენ
მათის წინ დაუხედაობით. ვინ უნდა
გავამტყუნოთ?—დამწერი, რასაკრე-
ლია, მაგრამ დამბეჭდავი-კი უფრო
მეტად! რათ უნდა ეპოტინებოდეს
კაცი იქამდის, სადამდინაც ვერ მი-
სწვდება? რათ ტვითულობს იმას,
რასაც ვერ მოერევა?... რედაქტორ-
გამომცემლობა განა ჰალა-ჰალა!
მაგრამ თავმოყვარობა ძნელია...
მოლა მასრადინისა არ იყოს, ჰფი-
ქრობენ, „უსტას“ ხომ დაგვიძახებენ
და სხვა რა გვენადლებოა?!

აი სწორეთ ამ ხასიათის არიან
ზოგიერთი უურნალ-გაზეთები და
რომ ვკითხულობ, ერთი ძველებური
ლექსი მაგონდება ხოლმე:

უგუნურება ტიტინობს,
უმეტრებას მოსწონსო.
მთქმელი სჯობს, თუ მომწონეო,
სამართალო, ასწონეო!

ჩიორა რომ ხან-და-ხან დასძახებ-
დეს ხოლმე ამ ვაებატონებს, არ
იქნება ურიგო.

შურნალ-გაზეთბილგან

(ამოკრეფილი ანბები).

ნორვეგიაში დიდ ყურადღებას აქცევენ იმ მასწავლებელთა სკოლის გარეთ განათლებას, რომელთაც ნორმალური სასწავლებლები აქვთ გათავებული. ამ მასწავლებელთათვის ვაკაციების დროს მართავენ განსაკუთრებულ კურსებს, რომლებზედაც ასწავლიან: ნორვეგიულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, პედაგოგიას, ნატვას, გეოგრაფიას, გეოლოგიას, ხელოვნობის და სამედიცინო მუხატებს.

სამხრეთ-ამერიკაში არსებობს ორი პატარა რესპუბლიკა—ვენეცუელა და კოლუმბია. როგორც ვენეცუელა, ამ რესპუბლიკებს მათი ამ ქვეყნისა. განთავსებულია ამიტომ სხვა და სხვა ცნობას გასულიყოფენ ამ პატარა სახელმწიფოთა შესახებ. ესეც უფროსი ჯარი სულ 5,000 კაცისაგან შემდგება თურმე. სამხედრო საქმეების განსაგებად მინისტრს გარდა არსებობს განსაკუთრებული საბჭო, რომელიც 15 გენერლისაგან შედგება. მრავალი ვენეცუელაში სამსახურს გარეშე მყოფი აფიცრობა. სულ ამ ქვეყნის ვენეცუელაში ითვლება 1,471 გენერალი, 1,462 პოლკოვნიკი, 2,032 მაიორი, 3,230 კაპიტანი, 2,300 პორუჩიკი და 1000 პოდპორუჩიკი. ეს აფიცრები თითქმის არაფერს აკეთებენ, ჯამაგირს ან პენსიას იღებენ და დრო-გამოშვებით აჯანყებას ახდენენ.

შაქრის საქმეში ქარხანას ახალი მეტოქე ამოუჩნდა. ეს მეტოქე სიმინდია. როგორც ამერიკული განთავსების იუწყებიან, ს. ლუისში უკვე არსებობს თურმე ქარხანა, რომელიც სიმინდისაგან შაქარს ახზავს. ამ ქვეყნის სხვა ქალაქშიც არსებენ მეორე ასეთ ქარხანას. ახრდა აქვე ამერიკაში დიდი ნაწილი იმ სიმინდისა, რომელიც იქ მოჰყავთ, შაქრის მომზადებას მოახმარონ.

როგორც ლონდონიდან იუწყებიან, ადგილობრივი კაპიტალისტს ფერნისს განუზრახავს დაარსოს მეტად მდიდარი ტრესტი რკინიგზის საწარმოებლად. თანხად ტრესტს 7 1/2 მილიონი მანეთი ექმნება. ტრესტი ეტდება ყველა რკინის ქარხნების შესყიდვას და საზოგადოდ რკინის საქმის ხელში ჩაგდებას.

შეერთებულ შტატებში არსებობს ერთი ქალაქი, კარტაჟინი, სადაც ჩვეულებრივი სახლები უფრო არ არის და ხალხი ვაგონებში სცხოვრობს. აი, როგორ გაშენდა ეს ქალაქი. რამდენიმე წლის წინად იმ ადგილას, სადაც ეხლა ქალაქია, ერთმა იტალიელმა ადგილი იყიდა. რადგანაც სახლის ასაშენებლად საქმარ ფული არა ჰქონდა, იტალიელმა ძველი ვაგონი იყიდა, მოაწყო იგი და შიგ დასახლდა. იმის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს და აქ რიგად ვაგონებისაგან მთელი ქალაქი შესდგა.

შეუღწევიაში (ვარშავის მახლობლად) არსებობს თურმე „ემპაქების კანტონა“, რომლის პატრონიც ბლიმ ფრენკელია. აი „ვარშავის დეპუტი“ რას ვაღმოგვიცემს ამ უცნაურ კანტონის შესახებ. ამას წინად შეუღწევიაში რამდენიმე მცხოვრები ბოქმულთან წასულან საჩივრებად კანტონის პატრონზედ. ეს პატრონი დაპირებია ვიღაც შიმანსკის, „ემპაქებს მიუხედავად“ იმ მოსამართლეებს, რომელთაც შენი საქმე უნდა განიხილონო, და ერთი თუმანი გამოურთმეო. ემპაქებს, რიცხვით ექვს, ქალაქში უნდა გადაერჩინათ სასამართლოში, ისე რომ მოსამართლეებს ვეღარაფერი გაეგოთ და შიმანსკი გაემართლებინათ. მაგრამ, როგორც ეტყობა, ემპაქები სხვა საქმეს ადგენენ. (ასე გამოუცხადებიათ მომჩივრებს) და შიმანსკი თვის სასამართლოს საპრობილზე გადაუწვევია. როგორც გამოძიებას აღმოუჩენია. ბლიმ ფრენკელს კარგა ხანია თურმე ხალხში ხმა გაუვრცელდება, რომ ემპაქების უფროსთან პირობა შეეკარი, რომლის ძალითაც ნება მიჰქვს კანტონა გაეხსნა და ემპაქები ვიყოლიო. იქაო ამ პირობის ძალით უფროსმა უნდა უგზავნოს ფრენკელს ყოველთვის „საქ-

მაო რიცხვი ემპაქებისა“ კანტონის პატრონი ამ დაპირებულ ემპაქებს „უშვირავებდა“ იმით, ვსაც შურის-ძიება სწყურებოდა, განქორწინება უნდოდა ან სხვა რამ ამ გვარი საქმე ჰქონდა განზრახული, რაშიაც დიდ-ძალ ფულსა ჰკრფავდა თურმე

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! „ცნობის ფურცლის“ № 1616-ში ახალ ამბად დაბეჭდილი იყო, რომ „თავ. კ. ი. მუხრანსკი კიდელ დახმარება ტფილისის სათავად-აზნაურთა სკოლის შენობის ამგებულ კომიტეტს 15 ათასი მანეთითა. წინად პრეცედენტი თავადი დახმარება სკოლას 25 ათასი მანეთითა.“ ესევე ამბავი გადასცემილი იყო „НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ“-ის № 5354-ში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვითომ თავ. კ. მუხრანსკის ეს 40,000 მანეთი შემოეწიროს სათავად-აზნაურთა სკოლისათვის

რადგანაც ეს ამბავი „ცნობის ფურცელში“ გარკვევით არ არის გამოხატული და შეუძლიან შეცდომადი შეიყვანოს მკითხველი, ხოლო „НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ“-ში კი სრულებით სინამდვილეს მოკლებულია, გთხოვთ მახლობელ ნომერში დაბეჭდოთ, რომ დიდად პრეცედენტმა თავადმა კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ სათავად-აზნაურთა სკოლის შენობის აგებისათვის შემოსწირა წარსულის წლის 23 დეკემბერს მხოლოდ 5 ათასი მანეთი.

ვთხოვთ „НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ“-ს და „ცნობის ფურცელს“ გადაბეჭდონ ეს წერილი.

თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ გამგე კომიტეტის კანცელარია.

დეკემბა

(რუსეთის დეკემბრის სააგენტოსაგან).

31 ოქტომბერი.

პირანი. „იუენი კურიერი“ იუწყება, რომ ფეოდალის მზრის სოფელ ჩანგელეში, ჩერკასოვის მაგისტრში, სადაც ყირიმის ნავთის მწარმოებელი საზოგადოება გამოკვლევას ახდენს, 27 ოქტომბერს ღამე ერთის ქიღდან ამოხეჭა ნავთის შადრევანმაო. დიამეტრი ნავთის შადრევანისა 16 დიუიმი იყო; შედარებითი წონა—38 (?). ნავთის შადრევანმა გასტანა 10 წუთს, წმენდვ მენგრდა ტენიკურ მოწყობილების ნაკლულევენებისა და ზევის გამო, საზოგადოება დარწმუნებულია, რომ აქ ნავთის მდიდარს წყაროს იპოვნის.

ნიჟნი-ნოვგოროდი. „ვოლგარი“ სწერს, რომ სამოქალაქო სკოლების მასწავლებელთა კრებამ გადასწყვიტა დაარსოს კლუბი, სადაც მასწავლებლები შეიკრიბებიან ხოლმე რეფერატების წასაკითხად, საკუდაგოგო და საზოგადო ლიტერატურის გასაცნობად და გასართობად კითხვითა და მუსიკით.

საბაროსკი. 28 ოქტომბერს ვლადი-ვოსტოკში წირვის შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესი ევსევი კველა უწყებათა წარმომადგენლებისა, ჯარისა და ქალაქის დიდ-ძალ მცხოვრებთა თანდასწრებით გაემართა ლიტანიით ნიკოლოზის კარებთან, რომელიც ამართულ იქმნა ხელმწიფე იმპერატორის ვლადივოსტოკში მიბრძანების სახსოვრად. აქ დიდის ხალხის თანდასწრებით დიდის ამბით გარდახილ იქმნა პარაკლისი კომპიობის რკინის გზის დასრულების

გამო. ხალხმა და ჯარმა შესწირა უზენაესს მხურვალე ლოცვა საყვარელ მღვდის კეთილ დღეობისათვის, რომელმაც მიანიჭა რკინის გზა შემადგენელი ამურის იხრისა და რუსეთის შუაგულისა.

ათინა. დიდნი-სახელმწიფონი მფარველნი სთხოვენ ბატონიშვილს გიორგის, კვლავ იკისროს კრიტის მმართველობა, რომლის ვადა თავდება წლით გასულს. ბატონიშვილი მეფესთან ერთად მოვა აქ და რამდენისამე დღის შემდეგ თავისს აღგილზე დაბრუნდება. ამბობენ, რომ ჯერ აღრვა იმის თქმა, ვითომ კრიტის საქმე სრულიად განწყვრივებული იყოს.

ზარნაფუზტი მინეზი. „ფრანკფურტის გაზეთსა“ სწერენ ამსტერდამიდან: ეოლმარანსის აზრით, სიტრუვეა ინგლისის გაზეთების ამბავი ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკების შესახებ. ზავი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ორსავე რესპუბლიკას სრული დამოუკიდებლობა ექმნება უზრუნველ ყოფილი.

პარიზი. ციმბირის რკინის გზის გათავების ამბავმა როგორც პოლიტიკურს წრეებში, ისე საზოგადოებაში დიდი სიმხიარული გამოიწვია. დღევანდელი გაზეთები აღტაცებას გრძნობით ლაპარაკობენ ამ საქმის გამო. გაზეთი „Temps“-ი აზრობს, ციმბირის რკინის გზის საფუძველი იმპერატორმა ნიკოლოზმა ჩააგდო. რომელიც მაშინ ტახტის მემკვიდრე იყო; შემდეგ ტახტზე ასვლისა იმპერატორი ნიკოლოზი ციმბირის გზის კომიტეტის უაფგუსტოესი თავმჯდომარე შეიქნა და ამ დიდის საქმის დამთავრებისთვის ბევრს შრომობდა; ეხლა რუსეთის ყველა ნაწილები ბალტიის ზღვიდამ მოყოლებული დიდს ოკეანემდე რკინის გზით არიან ერთმანეთთან გადაბმულიო. „რუსეთის შესახებ მართლად უნდა ვთქვათა, ამბობს „Temps“-ი, რომ თანდათანობით ზრდას მის მფლობელობისას ასაზიაში თან მისდევდა მუდამ მატერიალური პროგრესისა.“ გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ფინანსთა მინისტრს ვიტტესაც ამ საქმეში დიდი დეწლი მიუძღვისო. რუსეთში, ამბობს იგივე გაზეთი, არაფერი არ კეთდება უმადლესის ინიციატივის გარეშე და ამიტომ ის პირი, რომელიც პასუხის მგებლად ითვლება ამ საქმის ავტორობის გამო, სიხარულით უნდა მიეგებოს იმის დამთავრებას, რადგანაც დიდის იმპერიის ისტორიაში უსათუოდ ჩაიწერება ის დღე, როდესაც პირველად გაივლიან რკინის გზის ლიანდაგზე ვაგონები პეტერბურგიდამ პორტ-არტურამდე“.

1 ნოემბერი.

პეტერბურგი. 6-ს ნოემბერს „ცარსკოე სელოში“ მისის უმაღლესობის ლეიბ-გუხართა პოლკის დედსასწაულის გამო სამეფო პარადი იქმნება გარდახილი.

კონსტანტინოპოლი. პორტამ დაამყარებია ავსტრო-უნგრეთის მთავრობის შემდეგის მუხლებისაგან შემდგარი მოთხოვნა: სამი (ამანაშავე ავსტრო-უნგრეთის საელჩოს აგენტის მუტსამას თავდასხმაში სა-

მაგალითოდ დაისაჯნენ; გენერალ მეჰმედ-ფაშა, რომელმაც შეურაცხყოფა მიაცენა ავსტრიის საელჩოს დრაგომანს უსკიტებში სამსახურიდამ გადაყენებულია; პორტამ გადაუხადა ავსტრიის ქვეშევრდამს დივიდოვის, რომელიც შეპრობილი ჰყვანდათ ალბანელს ავაზაკებს, თვალსაჩინო სასყიდელი. ოსმალეთის ჯარები კვალ-დაკვალ სდევნიან ავაზაკებს, რომლებიც, როგორც პორტა ირქმუნ ბა, სასტიკად იქმნებიან დასჯილნი. პორტა გამოსცემს 3-ს ფირმანს ალბანიაში ორის კათოლიკეთა ეკლესიის აშენების შესახებ და უსკიტებში ავსტრიის სკოლის დაარსების შესახებ. პორტა მოვალედ ხდება ავსტრიის მთავრობასთან შეუთანხმებლად არავის არ მისცეს წმინდის მონაზოლია, თუ წინანდელის ხელშეკრულებით უკვე მიცემული არ არის. პორტა აკმაყოფილებს სამის ავსტრიის ქვეშევრდამის თხოვნას ფულის მიცემის შესახებ და თანხმად ელჩების წინადადებაზე სამედიტორო სასამართლოს დაწესების შესახებ იმ დავის გადასაწყვეტად, რომელიც აღმოსავლეთის რკინის გზების ავსტრიის საზოგადოებასა და ოსმალეთის მთავრობის შორის ასტყდა; ეს დავა ვიწროდ დაკავშირებულია სალონიკის და დედაგანის ნავთ საყუდლების საქმესთან; ამავე სასამართლომ უნდა გაარჩიოს იმ ფულის საქმე, რომელსაც ზემოდ დასახლებული საზოგადოება თხოულობს ოსმალეთისაგან; პორტა თავის მოსამართლეებს ჰნიშნავს სადავო საქმე რამდენიმე ნაჭერის მიწის შესახებ ავსტრიის ქვეშევრდამის პოშის და ოსმალეთის მთავრობის შორის გათავებული პოშის სასარგებლოდ, რაც შეეხება 90,000 ფრანკს, რომელსაც ოსმალეთის მთავრობას ედავება ავსტრიის ქვეშევრდამი სომხეთში მომხდარის უწყისოების დროს მიყენებულის ზარალის ასაყენებლად. ამის შესახებ ელჩი და პორტა ერთმანეთთან შეთანხმდნენ.

ბროზნი. კავკასიის რკინის გზაზე, სადგურს გროზნაზე, უცნობმა ბოროტ-განმზრახველმა იმ დროს, როდესაც პლატფორმაზე დიდძალი ხალხი იყო მოგროვილი, მოჰკლეს კასირის ერთი ამხანაგი, დასტრეს მეორე თავში, დასტრეს თითონ კასირი, დიმიტრი მალკევი, წაართვეს 1500 მან. და გაიქცნენ. ბოროტ-მომკმედნი ვერ იპოვეს.

მოსკოვი. 31 ოქტომბერს დაიწყო სხდომები თავად-აზნაურობის, ერების და მეურნეების წარმომადგენელებისა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ დაენმარონ გლეხებს საქონლის მოშენებაში.

ტაგანროვი. 31 ოქტომბერს აკურთხეს და გახსნეს საკამერციო სასწავლებელი.

ამკლანი. საკავშირო საბჭოსაგან მიღებული საბჭო ტარიფი, როგორც ოფიციალურს წრეებში ამბობენ, 26-ს ნოემბრამდე უნდა დაიბეჭდოს და დაურიდეს რეისს-ტაგის წევრებს. რეისს-ტაგის სხდომებიც 26-ს ნოემბერს დაიწყება.

ლონდონი. კიტჩენერის დეპუტის სიტყვით, დევეტი ორანჯეს რესპუბლიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში ჰმოქმედობდა, მაგრამ სამხ-

რეთისაკენ იქმნა გადგენილი დაქსლა ორანჯეს რესპუბლიკის მიმართ არი.

სარკოვი. 30 ოქტომბერს მობრძანდა დიდი მთავარი დიმიტრი კონსტანტინეს ძე, რომელმაც 31 ოქტომბერს სახელმწიფო საჯინბე ლაათვალთერა და ნაშუადღევის 3-ს საათზე სმოლენსკში წაბრძანდა.

პეტერბურგი. 4 გრადუსი სიტყვა.

ყოველ-ღვიზის საპირი ცნობები.

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდან გან ბათუმში:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დღის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდან ბოჯოჯოში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბოჯოჯოში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარსკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის დღის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დღის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დღის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდან ჰარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.), ჰარსში ჩადის დღით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 დღის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩადის დღის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დღის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტფილისის ქალაქის გამგეობა

დაეძებს სადგომების პირველ და მეორე საქალაქო ღამის სათვე თავშესაფარებისათვის. სადგომები რაც შეიძლება ქალაქის შუაგულის მახლობლად უნდა იყოს. პირველ თავშესაფარისთვის სადგომი საქიროა ამა 1901 წლის 1 დეკემბრიდან, მეორისათვის—1902 წლის 1 მარტიდან.

თითო სადგომში ასის კაცის მოსათავსებელი ადგილი უნდა იყოს და ამას გარდა ცალკე ოთახი ზედა მხედველისათვის, აგრეთვე სამრეცხაო, სამზარეულო და შეშის დასაწყობი.

ვისაც მსურს სადგომის გაქირავება, უნდა მიმართოს განცხადებით გამგეობის მეოთხე განყოფილებას ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—5.—2)